ზოგადსაგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

26/11/2026

MES 3 26 0001720730

გადაწყვეტილება

შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1.შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს (ს/კ: 405632356) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1750-ით;

2.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 25 ნოემბრის N1711282 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე